გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს მთავრობასა და შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 მარტის № 211 განკარგულების "საჰაერო მიმოსვლის ლიბერალიზაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" შესაბამისად 2007 წლის 14 ივნისს ქ. ჟენევაში გაიმართა მოლაპარაკებები შვეიცარიის საავიაციო ექსპერტებთან, რომლის ფარგლებშიც პარაფირებულ იქნა „საქართველოს მთავრობასა და შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის შესახებ" შეთანხმების პროექტი.

წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის მიხედვით ავიასაწარმოებს ეძლევათ საშუალება დამოუკიდებლად განსაზღვრონ ტარიფები, ტევადობა და სიხშირე დამოკიდებული იქნება არსებული პერიოდისათვის საავიაციო ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე, საჰაერო მიმოსვლა შესაძლებელი იქნება ქვეყნების ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ პუნქტებს შორის, საიდანაც ხორციელდება (შეიძლება განხორციელდეს) საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლა.

აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერა ხელს შეუწყობს საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის რეგულარული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების განხორციელებას, თავისუფალი კონკურენციის განვითარებას, მომსახურების პირობების ამაღლებას და ტურიზმის განვითარებას.